

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდეს ცხოვართათვის. იოან. 10—11.
 შპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სისხარული ცთა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
 შპოვეით ჩემდა კოველნი მამურალნი და ტვით-მიიგმნი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

„სარწმუნოების დაკარგვა და სჯულის გატეხა ხალხის ხრწნილებისა, დაცემის და აღმოფხვრის ნიშანია“.

აკაკი.




ველასათვის ცხადია, რომ ჩენი ერი იზრდება და ვითარდება. მაგრამ ისიც ყოველ ექვს გარეშეა, რომ ამ ზრდა-განვითარებას კეთილ შედეგებთან ერთად ბევრი არა-სასურველი ცვლილება და მანებელი შედეგიც მოსდევს.

ერთ ამგვარ არა-სასურველ მოვლენად უნდა ჩათვალოს ის გულგრილობა და ცალმხრივ-გაზვიადებული აზრი სარწმუნოებისა ღ ეკლესიის შესახებ, საზოგადოთ, და სამღვდლოების შესახებ, კერძოთ, რომელიც კარგი ხანია ჩენი ინტელიგენციის ერთ ნაწილს ემჩნეოდა და ემჩნევა და რომელმაც ამ

ბოლო დროს თვით მდაბიო, მშრომელი ხალხშიაც ფეხი მოიკიდა და საოცარის სისწრაფით ერცვლდება.

საკმაოა მოიგონოთ გურულ გლენთა არეულობანი და ის არაფრად ჩაგდება სამღვდლო პირებისა, რომელსაც მდაბიო ხალხი თვით ჩვენს დედა-ქალაქ-შივე იჩენს ხოლმე მიცვალებულთა დასაფლავების დროს, რის მსგავსსაც ამ 10—15 წლის წინათ ჩვენს ხალხში კაცი ვერც ნახავდა და ვერც გაიგონებდა,* —და ადვილათ დაგვეთანხმებით, რომ ჩენი ერის საზოგადოებრივი ცხოვრების სიღრმეში რაღაც არა ჩვეულებრივი დუდილი და მუშაობა სწარმოებს, და ეს დუდილი-მუშაობა ზოგიერთ შემთხვევაში ძლიერ საშუეხარო მიმართულებას ღებულობს. მაგრამ ყველაზე უფრო დამაფიქრებელი ისაა, რომ ამ მიმართულებას მისი შესაფერი იდეოლოგ-ეთეორეტიკოსებიც გამოუჩნდნენ,—და ის, რაც ერთი შეხედვით





არ გვიძრახავს, რადგან ამგვარ ნაწარმოებში ენის სიმტკიცე ფრიად მწიფნელოვანი საგანია და, რა თქმა უნდა, თარგმანშიც ამ საგანს შესაფერი ადგილი უნდა დაუთმოს.

მართების მოწოდებას, მალე დარწმუნდნენ, რომ იგი ღვთისაგან იყო მოვლენილი, — და გამოუცხადეს სურვილი ყველგან უკან გაპყლოდნენ, მის მოწაფეებად გამხდარიყვნენ და სახარების ქადაგებაში დახმარება აღმოეწინათ.¹⁾ ამ პირთაგან მაცხოვარმა თავდაპირველათ თორმეტი აირჩია.²⁾ ხოლო შემდეგ კიდევ სამოცდაათი.³⁾

✦ ეკლესია. ✦

შესავალი.



ბოძის იმპერატორის ტიბერის მეფობის მეთუთხმეტე წელს ებრაელთა შორის გამოჩნდა არა-ჩვეულებრივი მოძღვარი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

თვისი ქადაგების პირველი სიტყვებიდანვე მან ებრაელთა ყურადღება მიიქცია; ყველა მისი მსმენელი გრძობდა, რომ იგი რაღაც განსაკუთრებულის ძლიერებით ასწავლიდა, ყველას აოცებდა სიტყვანი მადლისანი, გამომავალნი პირისაგან მისისა.¹⁾

ამას გარდა, ყველამ მალე დაინახა, რომ ახლად მოვლენილ მოძღვარს ქონდა ძალა ცოდვითა მიტევისისა, ეშმაკთა განდევნისა, კეთროვანთა განწმენდისა, სნეულთა განკურნებისა, მკვდართა აღდგენისა და სხვა, უბრალო ადამიანისათვის მიუწოდებელ, საქმეთა ქმნისა, — და წინანდელზე უფრო მეტათ უკვირდით.

„წინასწარმეტყველი დიდი აღდგომილ-არს ჩვენი შორის და მოხელნა ღმერთმან ერსა თვისსაო“, — მოწიწებითა და ძრწოლით ამბობდნენ ებრაელნი.²⁾ ხოლო იოანე ნათლის-მცემელი, რომელსაც ქრისტეს ღვთაებრივი ღირსება მისივე ნათლისღების დროს ქონდა ზეციდან ნაუწყები,³⁾ უფრო მეტს გარკვევითა და განსაზღვრით ემოწმებოდა მას, რომ იგი იყო ძე ღვთისა.⁴⁾

ახალი მოძღვრის სახელი სწრაფათ მოედვა მთელს ებრაელთა ქვეყანას და მრავალი მსმენელი მოზიდა იმისკენ. ზოგნი მათგანნი, რომელნიც სხვებზე უფრო ადილობა იღებდნენ და ითვისებდნენ ქე-

მაცხოვრის ქადაგების უჩვეულო წარმატებამ ებრაელების ერისთავთა, მღვდელმთავართა და წიგნობართა შორის შური და შიში გამოიწვია — ჩვენი ძალა და გავლენა არ გამოგვეცალოს ხელიდანო. იგინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ხალხი ქრისტეს სარწმუნოებისათვის დაეშორებიათ და მისი ღვთაებრივი ავტორიტეტი დაემცირობიათ. მას და მის მოწაფეებს იგინი ბრალსა სდებდნენ — მისეს სჯულს არღვევენო, — მიუზღავნიდენ ხოლმე მხვერავებას და გამოჰქითხველებს, — რა არის ეგებ ლაპარაკში დავიჭიროთო, რომ ვინიცობაა განზრახვა ასრულებოდათ, მერე გაემტყუნებიათ იგი მისეს სჯულის შეგინებაში; გინა ხალხის აჯანყებაში რომაველთა მფლობელობის წინააღმდეგ.

მიუხედავთ იმისა, რომ მაცხოვრის მეტრეთა ვერაგობა ყოველთვის ანაო რჩებოდა, — მათ, ქრისტეს ქადაგების დაწყებიდან სამწლიანხვერის შემდეგ, მიიწვი მოახერხეს ხალხისთვის ჩაგვანებით, რომ იგი მოსეს სჯულს არღვევს და იერუსალიმის ტაძარს შეურაცყოფსო, — და ჯვარს აცვეს იგი.

და, თუმცა ამ გზით ებრაელთა ბელადები ფიქრობდნენ ღვთის საქმე დაერღვიათ, მაგრამ ნამდვილათ კი ხელი შეუწყვეს მის განხორციელებას.

როცა შესრულა ნება ღვთისა ჩვენი გამოხსნის შესახებ, ჯვარ-ცმული ღმერთ-კაცი მკვდრეთით აღდგა, თავისი მოწაფეების სარწმუნოებაში განამტკიცა და გამოიჩინებთ მიანიჭა მათ უფლება სახარების ქადაგებისა და ქრისტეს ეკლესიის აღშენებისა.

კვლავ-შობილნი ზე ჯვარდმო ძალით განმტკიცებული მოციქულები, თავ-გამოდებით ასრულებდნენ თვისის მოძღვრის მცნებას. მათი ზე-შთანაგონები სიტყვა, ნიშებთან ზე სასწაულებთან ერთად, მეტათ გავლენიანი იყო და ქრისტეს სარწმუნოებაზე ათალობით აქცევდა ხალხს.

1) ლუკასი. 4, 22—32,
2) იქვე. 7, 16.
3) იქვე. 3, 22.
4) იოანესი. 1, 34.

1) იოან. 1. 37-51; ლუკ. 5. 10-11, 27-28; 9, 1-2.
2) ლუკ. 6. 13—16.
3) ლუკ. 10. 1.



კაცს სრულიად შემთხვევითს და გატურკვევილ მოვლენად ეწინებოდა, ღღეს ამ ბელადების წყალობით საკმაოდ გარკვეულ და პრინციპალურათ განსაზღვრულ სახესღებულობს.

რათქმა უნდა, აღნიშნულ სამწუხარო მოვლენის მიხედვით, სხვა უფრო რთულ და უფრო ღრმა მიხედვითა შორის, რამოდენაიმე თვით ჩვენი სამღვდლოების ზოგიერთ წევრთა ურიგო საქციელს უნდა მიეწეროს: არ არ იცის, რომ აჟღა თვით მაცხოვრის თანამეტ მოქაქუღმაზე გამოვრია, — მაგრამ, ვგონებ, უსაფუძვლოდ არავინ შემოგვწამებს, თუ ვიტყვი, რომ ეს მოვლენა თავის დღემო ასეთის სისწრაფით და სიადვილით ჩვენი ხალხს ფებს ვერ მოკიდებდა, უკეთუ ჩვენი ერის მოწინავე თაობას და სამღვდლოებას საკმაო საღვთისმეტყველო და ეკლესიური იურიდიული მომზადება ჰქონებოდა მიღებული. სახელდობრ, განა საუკეთესო ხელის-შემწყობ პირობას არ წარმოადგენს აღნიშნული მოვლენისათვის ის გარემოება, რომ არამც თუ ჩვენს ინტელიგენციას, ათამედ ჩვენი სამღვდლოების დიდ უმრავლესობასაც ფრიად ბუნდ წარმოადგენა გაჩინა თვით ისეთ ელემენტარულ საღვთებუდაც კი, როგორცაა მთავალითად კითხვა იმის შესახებ, თუ: რას წარმოადგენს იურიდიულ-კანონიურის მხრით ეკლესია, რომელსაც სამღვდლოება ემსახურება, რა ადგილი უკავია მას ამ ქვეყნიურ დაწესებულებათა შორის, რას მოითხოვს იგი თავის წევრთა და მსახურთაგან და რას უნდა მოელოდეს მისგან ყოველი მისი წევრი და სხვ. — ყოველ ეკეს გარეშეა, რომ ჩვენი ერის მოწინავე თაობას და სამღვდლოებას მტკიცე და საფუძვლიანი სარწმუნოებრივ-ეკლესიური თვით-შეგნება და მომზადება აკლია, — და სწორეთ ამ მომზადებლობაში ღ თვით-შეგნების სისუსტეში უნდა ვეძიოთ, სხვათაშორის, იმ მოვლენის ეთ უმთავრეს პირობათაგანი, რომ თითქმის ყოველგვარი ანტი-ეკლესიური და სარწმუნოების საწინააღმდეგო მოვლენა გასაოცარის სიადვილით იკიდებს ფეხს ამ ბოლო დროს ჩვენი ერის დიდ-უმრავლესობაში.

ჩვენ არ გავგანჩნა საკუთარი საღვთისმეტყველო კათედრები და უმაღლესი სასულიერო საწავლებლები, რომ ჩვენი ერისა და სამღვდლოების უმრავლესობას იქიდან შეეძლოს საეკლესიო და სარწმუნოებრივ საკითხთა შესახებ ავტორიტეტული სიტყვის მოსმენა და შეთვისება... ამიტომ მთელი

ჩვენი იმედი ამ შემთხვევაში იმავე ბეჭდვითი სიტყვას უნდა დავამყაროთ, რომელიც ათსგვარ გარემოებათა წყალობით ღღეს ჩვენთვის თითქმის ყოველგვარი თვით-შეგნებისა და თვით-განვითარების ერთადერთ ხელ-მისაწვდომ იარაღად გადაქცეულა... ამიტომ მიემართეთ ჩვენი სასულიერო წოდების განათლებულ ახალ-გაზრდას, ვისაც შესაფერი მომზადება ხელს უწყობს, და ვთხოვთ: ნუ დაიშურებენ თავის შრომასა და მეცადინეობას — ჩვენი ერის და სამღვდლოების სარწმუნოებრივთ გამოფხიზლებას და გათვით-ცნობიერებას შეძლების-და-გვართ ხელი შეუწყონ. საამისოთ კი: ჩვენის ფეკრით, საქორა როგორც ორგანიზატორ ნაწარმოებათ გამოქვეყნება ჩვენის წარსულისა და აწმყო ეკლესიურ-საზოგადოებრივი ვითარების შესახებ, აგრეთვე უცხვა ენებიდან საღვთისმეტყველო მეცნიერების სხვა და სხვა დარგის იმ თხზულებათა გადმოღება, რომელთაც შეუძლიათ საზოგადო საეკლესიო და სარწმუნოებრივს კითხვებს შესაფერი ნათელი მოპყინონ და მკითხველ საზოგადოებას მათი შეგნება გაუადვილონ.

ერთ ამ გვარ თხზულებად მიგვანჩნა ის ფრიად საფუძვლიანი სამეცნიერო ნაშრომი ყაზანის სასულიერო აკადემიის პროფესორის ბ-ნ ილია ბერდნიკოვისა,*) საიდანაც ამოღებულია ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტი შესახებ ეკლესიის თვით-არსებობისა და მისი განწყობილებისა ოჯახთან, საზოგადოებასთან და სახემწიფოსთან. როგორც მკითხველი დაინახავს, ეს ადგილი მთლიან დამყარებულია ახალი აღთქმის საღმრთო წერილზე და პირველი ოთხი საუკუნის წმიდა მამათა და საეკლესიო მასწავლებელთა სწავლა-მოდლებზე. იგი წარმოადგენს მტკიცე მეცნიერულ სისტემატიზაციას ძირეულ პრინციპებისას იმის შესახებ, თუ რა არის ეკლესია და რა განწყობილებაში უნდა უდგეს იგი ოჯახს, საზოგადოებასა და სახელმწიფოს. — ჩვენ ვეკადვთ, დედნის მტკიცე სამეცნიერო ენა თარგმანშიაც შეძლებისდაგვართ დაგვეცვა, რამდენათაც ეს ჩვენი ერის ძირეულ თვისებებს არ ეწინააღმდეგებოდა... ამიტომ, უეჭველია, ჩვენი თარგმნის ზოგიერთი ადგილები მკითხველს მძიმედ ეჩვენება, მაგრამ იმედი

*) „Государственное положение религии в Римско-Византийской империи“. т. I. Исследование И. Бердника. Казань, 1861 г. — см. гл. VI, стр. 424 — 508.

დევნულებანი, რომელნიც ურწმუნო ებრაელებმა მოციქულების წინააღმდეგ აღმართეს, მათში მხოლოდ სიმნენ-სიმამაცეს იწვევდა და ქრისტეს მოძღვრების გავრცელებას ეხმარებოდა. ერთ ქალაქიდან განდევნილი, მოციქულები, მაცხოვრის მცნების თანახმად, მეორეში მიდიოდნენ და ამ სახით ქვეყნის ყველა კუთხეებში გაქონდათ თვისი ქადაგება.

ღვთის სიტყვის თესლი, მოციქულთა მიერ ქვეყნის ყველა კუთხეებში განთესილი, თან-და-თან იზრდებოდა და ნაყოფი ერთი-ასად მოჰქონდა. ჯერ პატარა საზოგადოება, საოჯახო ეკლესია, შემდეგში მთელ თემად იქცეოდა და ამ სახით ჩნდებოდა სხვადასხვა მხრის ადგილობრივი ეკლესიები, მათ-მათი მწყემს-მთავრები, რომელნიც მოციქულთა სამსახურს განაგრძობდნენ.

იმ მხარეებში, რომელნიც ქრისტესა და მოციქულთა საქადაგებელ ადგილებს უახლოვდებოდნენ, უკვე მეორე საუკუნის დამდეგს ქრისტიანობა არამც თუ მართო ქალაქებში, სოფლებშიც კი გავრცელებული იყო,¹⁾ ხოლო იმავე საუკუნის დამდეგს და მესამის დამდეგს ქრისტიანები უკვე მაშინდელი განათლებული ქვეყნის ყველა მხარეებში იმყოფებოდნენ²⁾ და აღივსებდნენ ქალაქებს, სოფლებს, ციხესიმაგრეებს, კუნძულებს, ბანაკებს, ტრიბებს, დეკურიებს, სენატსა და ფორუმს.³⁾

ასე წარმოსდგა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიმდევართა საზოგადოება, ან ეკლესია ქრისტესი.

ს. კორნაქი.

(შემდეგი იქნება)



- 1) Plin. Episc. X. 70.
- 2) Iyem. Apol. II, 10.
- 3) Terqul. Apol. I, 37—50.

იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატთა კრება 3. მუთისში 15-22 დეკემბერს 1903 წ.

გაგრძელება *)

თუმცა საზოგადოდ, თითქმის ყველგან, წესად არის შემოდებული სანთლის ქარხნის ანგარიში ბეჭედა ოფიციალურ გამოცემებში, ყველას საცნობლად და გასაგებად, მაგრამ იმერეთის ეპარქიის საეკლესიო სანთლის გამგე კომიტეტის თავმჯდომარემ დეკ. ჭეიშვილმა კიდევ ვერ გაბედა სანთლის ქარხნის ანგარიშის ყველას საცნობლად დაბეჭდვა ღ გამოცხადება ჟურნალებში. ვერ გაბედა ალბად მიტომ, რომ სანთლის ქარხნის ანგარიში მისი გამგეობის დროს ყოველთვის კლებულობს და არ მატულობს. მართალია ცალკე ანგარიშს აბეჭდივენებს დეპუტატებისათვის კრების დროს განსახილველად, მაგრამ ამ ანგარიშებით ძლიერ ძნელია კაცმა ჯეროვანი დასკვნა გამოიყვანოს სანთლის ქარხნის მდგომარეობაზე წარსულ წელში სანთლის ანგარიშს მოეკლო და სამღვდლოებს იმედი ჰქონდა ამ წელში მაინც მოიმატებდა, მაგრამ ამ წელში კიდევ უფრო მეტი დაკლებოდა მოგებას. ამისათვის ამ გარემოებამ დიდი ბაასი გამოიწვია კრებაზე. უბრ. ველის სივანი და ყოველის მხრით მოსათიქრებელი თითქმის სანთლის ქარხნის საქმე იყო, მაგრამ თავსმჯდომარემ სამი დღე თავის პროექტის გატარების ბაას მოანდომა და ბოლოს ჟურნალიც აღარ შეადგენინა კრებას. ესეთი საქციელი თავმჯდომარისა აშკარად კანონის დარღვევა არის და არც უნდა მიტევენოდა, რადგან სხვა მთავრობის წინადადებათა შორის მჭედლიძის პროექტის მიღებაც დეაღებულ ქონდა კრებას და სამღვდლოების დეპუტატებს არ ჰქონდა უფლება პასუხი არ გაეცა წინადადებისათვის. სამწუხაროდ ეს გარემოება ცხადათ ამტკიცებს მას, რომ სამღვდლოების კრებას ამ ბოლო დროს ეკარგება თავისი მნიშვნელობა ზოგიერთი თავსმჯდომარეების და დეპუტატების წყალობით, რომელნიც კრებაზე მსჯელობის დროს საზოგადო საქმეზე კი არ ფიქრობენ, არამედ თავიანთ პირადი ანგარიშები აქვსთ სახეში და საზოგადო ინტერესს არ დასდვენ!

სანთლის ქარხნის ანგარიშში რამდენიმე დღეუ-

*) იხ. „მწყემსი“ № 5, 1904 წ.

ტატებმა ნახეს ხარჯი, რომელიც სოხუმში წასვლის დროს მოხდინათ კომიტეტის წევრებს.

დკ. ი. გუგუშვილი. მე როგორც ვიცი კომიტეტს ყავდა ერთი თათარი ბათუმში და ის ყოველთვის ზაზანიძე სანთლის და იმიდან რატომ არ დაიბარა სანთელი კომიტეტმა? რა საქირო იყო კომიტეტის წევრის წასვლა სოხუმში და ტყუილ უბრალოდ ფულების დახარჯვა?

დკ. ი. გუგუშვილი. აი რას მოგახსენებთ მკითხველ. მართალია როგორც წინთ ისე ჩვენც გვაძლევდა ის თათარი ცვილს, პირობა გვქონდა შეკრული, მაგრამ კარგა დიდმა ხანმა გაიარა და არც წერილზე და არც ჩვენ კითხვაზე ხმა არ გავცა ამ თათარმა. ზოგიერთები კიდეც ამბობდნენ ვაკატრდო და ამისთვის საქირო იყო გავგეზავნა კაცი სოხუმში და სხვა ვინმე ვაჭარი სანთლისა გვენახა.

დკ. ი. გუგუშვილი. თქვენ, მამაო დეკანოზო, სთქვით, რომ პირობა გქონდა ამ თათართან შეკრული, რატომ პირობის აღუსრულებლობისათვის არ მოეტყვეთ კანონისამებრ და ამის ნაცვლად, სულ უბრალოდ, სანთლის ფულით გაისეირნეს სოხუმისაკენ. რა გააკეთა თქვენმა ვაგზაფერიმა კაცმა სოხუმში, იყიდა სანთელი თუ ტყუილა გაისეირნა? რატომ არ შეიტყო ბათუმში ამ თათარის ამბავი და თუ მისგან ცვილის ყიდვა შეიძლებოდა რაღა მიარბენინებდა სოხუმში?

დკ. ი. გუგუშვილი. ჩვენ მართალია გქონდა პირობის ქაღალდი თათართან სანთლის ცვილის მოტანის შესახებ, მაგრამ ეს პირობა შინაურული იყო და უმნიშვნელო. იმას, ეს პირობა რომ დაერღვიო ჩვენ პასუხს ვერ მოვსთხოვდით მას. ეს თათარი მართალია ჩვენ ნატარიუსის წესით გვაძლევდა პირობას, სრულიად კანონიერს და თავისთავს ვალდებულიად ხდიდა რაც სანთელი დაგვეკირდებოდა მისგან მიგველო აღნიშნული ფასით, მაგრამ ჩვენ ეს ვერ გაგებდით და ვერ ჩაუკარდით ხელში ამ თათარს. თათარი თხოვილობდა, რომ მის გარდა სხვანაირი სანთელი არ გვეყავა. ამ პირობის ვარდა ჩვენ ვთხოვდა „ზალოგს“ (გირაოს) იმ ცვილის საფასისას რამდენსაც გაურიგდებოდით წელიწადში. შეიდას ფუთს თუ გაურიგდებოდით შეიდასი ფუთის სანთლის ფასი შეადგენს ჩვიდმეტი თასს მანეთს და ვინ მოგვცა ჩვენ ამდენი ფული, რომ ზალოგად მიესცეთ ერთბაშად?.. ამას გარდა აი კიდევ რა გქონდა სხვაში,

რომ არ შეგეკარიოთ თათარს ნატარიუსის წესით ცვილის ყიდვაში. თათარი ითხოვს 25 მანეთს და ცოტა მეტსაც, ჩვენ კი ჩვენი კაცებისაგან ბევრად ნაკლებად ვყიდულობთ ცვილს. ცოცხა არ იქნება ჩვენებს სულ უფრო უთხრათ და ვილაც თათარს მეტი ვაძლიოთ? ეს ჩემის აზრით უსამართლობა იქნებოდა. თუ ინებებთ, მამაო, და პოდრადის წესით გასცემთ ცვილის მოპოვებას ძლიერ კარგი იქნება და ჩვენთვისაც სასიამოვნოდ დარჩება.

რამდენიმე დეპუტატს შეწყალების და შებრლების კილოთი წარმოუთქმული სიტყვა მ. ჭეიშვილისა მოეწონა და წინააღმდეგი ამისთანა ფარისევლურ და მოტყუებით მოსაზრებათა წინააღმდეგ არავინ არა სთქვა რა. სიტყვის ნება ითხოვა ეპარქიის კანცელარიის მდივანმა.

ეპარ. კანც. მდივანი. პოდრადის წესით ქარხნისთვის სანთლის ცვილის დამზადება მე ურჩივ საშლდელოებსა ოთხი ხუთის წლის წინად; ეს კითხვა ახალი არ არის, ამაზე ჩემს პროექტშიც იყო მოხსენებული, მაგრამ, როგორც მამა დეკანოზმა ი. ჭეიშვილმა განაცხადა, ადვილი არ არის. ჩვენ პოდრადიანისთვის მისცემი გირაოს ფულები არა გვაქვს. ამასთან შემოწმება სანთლის ცვილისა. ყოველთვის მიღების დროს ძლიერ მოუხერხებელია თორემ პოდრადის წესით სანთლის ყიდვა კარგი იქნება. ერთ კაცთან ექნება საქმე კომიტეტს და იმდენი დავიდარაბა არ დაქირდება რამდენიც ეხლა არის სანთლის ცვილის ყიდვის შესახებ.

დკ. დ. დამაშვიძე. არაფერი არ მაკვირებს ისე როგორც ამ საათში შებრლებით წარმოთქმული სიტყვა მამა იოსებ ჭეიშვილისა სანთლის ცვილის მოპოვების შესახებ. მე მაკვირებს მ. იოსებ ჭეიშვილის მაცადინება საშლდელოების დეპუტატების მოტყუებისათვის, მაცადინება, რომ არავინ არ შეიტყოს მისი სიტყვების უსაფუძვლობა; რაც უნდა დამნაშავე იყოს იგი არასოდეს არ შეიძლება თავი გაიმტყუნოს. თუ რამე გაუბედვრე და ამხილვ შენ გადაგაბრალებს საქმის წახედნას დათვითონ-კი სოლომონ ბრძანდ გამოცხადდება. ავიღოთ მისგან ამ საათში წარმოთქმული სიტყვა: „რას ვიზამდი, პოდრადის წესით როგორ გაურიგდებოდი თათარს? სად გქონდა ჩვენ ზალო-

ვად მიგვეცა თათრისთვის 17 ათასი მანეთი» და სს. ამ ყალბი სისტემებით თითქმის დააჯერა მთელი კრება! ერთი კითხვით მამა ქეიშვილს: როცა რომელიმე დაწესებულება ურიგდება პოდრიაჩისკს, ზალოვს ეს დაწესებულება აძლევს თუ პოდრიაჩისკია იძლევა კანტრაბტის და პირობის სისწორით შესრულებისათვის? ნუ თუ დეკ. ი. ქეიშვილმა დღემდე კიდევ არ იცის ის, რომ თათარს კომიტეტი კი არ უნდა აძლევდეს გიროსა—თვითონ თათარი უნდა იძლეოდეს პირიქით? მე არ მჯერა, რომ ეს უბრალო კანონი არ იცოდნენ მამა ქეიშვილმა, მაგრამ ყველა ამას კადრულობს დეპუტატების მოსატყუებლად და ეს გარემოება გვაკვირვებს და კიდევ გვაწუხებს. ავიღოთ ესა კიდევ სხვა ყალბი სიტყვები. „თათარი გვეუბნება, რომ ჩემიდან თუ იყილით სანთლის ცვილს, თორემ სხვიდან აღარ შეგიძლიათ სანთლის ცვილის ყიდვა“. განა შეიძლება ასეთი ცილი დასწამოს კაცმა ვისმეს? ვკითხოთ ერთი დეკ. ი. ქ—ს როდეს უთხრა თათარმა ჩემგან თუ იყილით ყოველთვის ცვილს, თორემ სხვიდან არ შეგიძლიათ ცვილის ყიდვა? მას ეს არასოდეს არ უთქვამს. თათარი ჯე ყველა პოდრიაჩისკებში ამას იტყვიან: რამდენ ფუთსაც გამოირიდებთ იმდენი წაიღეთ ჩემგანო და ზედმეტს რამდენსაც იყიდის კომიტეტი ვის რა შეუძლია სთქვას? და ვინ იტყვის ამის წინააღმდეგ რასმეს? მაგრამ მამა ქეიშვილმა ოვისი აზრებიც გაასაღა კრებაზე და წარმოიდგინეთ, ჩვენი მღვალი ხალხის მზრუნველადაც გამოიჩინა თავი, როცა წარმოსთქვა მწუხარებით და გაწვრილებულის ხმათ: „ნუ თუ თათრისაგან უნდა ვიყიდოთ სანთელი ძვირად და საწყალი ჩვენი გლეხებიდან იაფადაც არ უნდა ვიყიდოთო... დეკ. იოსებ ქეიშვილის სიტყვა ჩვენ არ გვაკვირვებს და არც სხვას გვაკვირვებს ვინც მას კარგად იცნობს, მაგრამ მებრალბება ის დეპუტატები, რომელთაც პირველად ესმის კრების მსჯელობა და ვერ წარმოიდგენს მას თუ რას იკადრებენ ხოლმე ზოგიერთები ოროდღე მანეთის გულისათვის. ჩვენ მის სიტყვაზე უმეტესად გვაგვიკვირბ ბ-ნ მდივნის სიტყვამ, რომელიც ამავე დროს სანთლის ქარხნის კონტროლერთა ითვლება, მე ვერ ამიხსნია თუ როგორ მიემხრო მდივანი დეკ. ქეიშვილს და არ გაამტყუნა იგი, რომ პოდრიაჩისკი კომიტეტს კი არ უნდა საზოგდეს გიროსი, არამედ თვითონ იგი უნდა იძლეოდეს. გვეკვირს რო დაეთანხმა დეკ. ქეიშვილს,

რომ ვითომ პოდრიაჩისკი თხოვილობდეს, რომ სანთლის ცვილი მის გარდა არსად იყიდონ. შენ გინდა რვასი ფუთი ცვილი? გაურიგდი შეიდას ფუთს და ასი ფუთი სადაც გინდა, ვისგანაც გინდა მისგან იყიდე. განა ხმის ამოღება შეუძლია პოდრიაჩისკ? მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ არავინ არის სხა ამოილოს და ამხილოს ამ ბატონებს ესეთი ბრუნდღე მსჯელობა. ჩვენ როცა ვიტყვით მაშინათვე დაიწყებენ ლაპარაკს, ვითომ კერძო პირადული ანგარიშები გვაქვს ქეიშვილთან და სხვებთან და ამით საქმეს ვეწებო. ამას იმეორებენ სამწუხაროდ ზოგიერთი შეგნებული პირებიც!..

ჩვენ როცა ვმართავდით სანთლის ქარხნას თორმეტ მანათამდის შემოიღოდა ქარხნას მოგება თითო ფუთიდან; დეკ. ი. ქეიშვილის ხელში დაიკლო შემოსავალმა ფუთზე თითქმის ოთხ მანეთზე ცოტა მეტი. მამა ქეიშვილი ბრძანებს, რომ სანთელი გავირდა და მიტომ იკლო შემოსავალი. მართალია წინეთ, რომ 24 მანეთად ყიდულობდენ ცვილს დღეს 25 მან. და 70 კ. აძლევენ—მიტომ მოდის მანეთი და 70 კ. ეს უნდა დაიკლოს სანთლის მოგებამ და არა მეტი. თუ მეტია ზარალი დღევანდელი ცვილის ფასის განსხვავებაზე, მაშინ ეს მოხდება კომიტეტის უყოღინარობისა და დაუდევრობისაგან..

მივაქცევ კრების ყურადღებას ამ გარემოებას და თანაც დავსძენ, რომ სანთელი ძლიერ ცუდიც კეთდება და ისე სამაგდებ იწვის, ზოგიერთი განსაკუთრებით ისე ტკიპინობს, რომ არ შეიძლება არაფერი არ ერიოს შიგ. მიაქცია თუ არა ამას ყურადღება კომიტეტმა და ან კონტროლერმან?»

მრავალმა დეპუტატებმა განაცხადეს ესევე და სანთელიც თან წამოიღოთ გასაშინჯავათ. მოითხოვეს პასუხი კომიტეტისაგან.

დეკ. ი. ჭკაუშიაძე. მართალია, მამაონო, ჩვენც შევნიშნეთ, რომ ესლანდელი სანთელი, რაღაც ტკიპინით იწვის და არ გაიშება კაცს როცა გავსის სანთლის წვის დროს. ამაზე ზოგიერთ-მდვდღე-ბისაგანაც მივიღე წერილები. ჩვენ გამოვიკვირეთ, გამოვიძიეთ და ბოლოს შევტყვევთ, რომ ეს ტკიპინი იმის ბრალი კი არ არის, რომ სანთლის ცვილში რაიმე სიყალბე ერიოს, არა ერ იმის ბრალია, რომ სანთლის გული ნოტიო ოთახში იყო შენახული და სანთლის გულის დანოტიოების ბრალია.

ამისთანა სანთლის გულზე ჩამოსხა რაღაცა ათიოდე ფუთი და დღეს სრულდებით აღარ არის ამისთანა სანთელი. თუ აქვს ვისმეს კიდევ გამოგზავნონ და მათ ნაცვლად კარგი მიიღონ. მოკანტრახტე ვალდებულია უკან დაიბრუნოს ეს კუდი სანთელი. ამის შემდეგ სანთელი კარგი იქნება.

დკვ. დ. ღამაშაძე. ჩვენ დროს, 1897 წელში, სწორეთ იმ ოთახში გვეწყო სანთლის გული, პატრუქი და ბევრად დიდი ხნობით, რომელშიდაც პატრუქი ვითომც დანოტიავებულა დეკ. ჭეიშვილის სიტყვით, მაგრამ სანთელი არ ტკიპინობდა წვის დროს. მე ვფიქრობ, რომ პატრუქის ბრალი კი არ არის ეს სანთლის ტკიპინი, არამედ სანთლის ცვილის უფარვისობისა. კომიტეტს ადვილად შეეძლო ამის შეტყობა. გაეძირობდი პატრუქს ცვილს და კარგს ცვილს ჩამოვასხამდი და მაშინ ადვილად შეიტყობოდა პატრუქია მიხეზი თუ ცვილი, მაგრამ ამასაც მოფიქრება უნდა!.. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი სანთელი ამ ტკიპინს არ მოიშლის შემდეგ შიაც თორემ ვინახოთ და შემდეგი დროც დავეიმტკიცოთ ამას. ამ ტკიპინს გარდა სანთელს თავი არ აქვს კარგად მოჭრილი და ვარაყიცი ძლიერ ცოტა უკეთდება სანთელს და უშნით. სანთელი უმეტესად ყვითელი კეთდება და კომიტეტს კონტრაგენტისათვის, ესრეთ წოდებული "სკიდკა"-ც მოუმატებია.

დკვ. ა. ჭეაშვილი. სკიდკა იმიტომ მოუმატეთ, რომ სანთელი ძლიერ ხენჯიანია ხოლმე და არა კმარა ორი გირვანქა. ამასთან ხშირად მოხდება, რომ ქვაბში იწვის ცვილი და რა ქნას კანტრაგენტმა ზარალში იქნება."

სწორეთ სასაციოა კომიტეტის თავსმჯდომარის ამისთანა თავის მართლება. სანთელი ძლიერ ხენჯიანიაო, და რად ყიდულობს კომიტეტი ხენჯიან სანთელს? „ქვაბში ხშირად იწვის სანთლის ცვილი და კანტრაგენტს ბევრიი აკლდებაო“. თუ გინდ სულაც დაუწვას კანტრაგენტს ქვაბში სანთლის ცვილი რა კომიტეტის საქმეა ეს?.. საფუძვლიანად გაამტყუნეს კომიტეტი ამ შემთხვევაში დეპუტატებმა.

დამსწრე.

(გაგრძელება იქნება).

ოპი საზიზარი ჩვენი ზაუის მასწავლებლია.

(რუსულიდან).


ჩვენ ვსცხოვრებთ ქრისტიანობის დროს, როცა ქრისტიანობა გავრცელებულია მთელს ქვეყანაზე თუმცა ნახევრობა ხალხისა ჯერეთ კიდევ წარმართებს შეადგენენ. მაგრამ დღევანდელი ქრისტიანები და მათ შორის მრავალი რუსები წარმართებზე უმჯობესები კი არა უარესები არიან ურწმუნოებით და მკვლესიის უარ ყოფით. სჯული ქრისტესი მრავალთაგან უარ ყოფილი და გათვლილია. ჯგერცმულმა ქრისტემ გვასწავლა ჩვენ რომ უარ ვყოთ ყოველივე და შეუდგეთ მას. ვისაც ნებას შემადგომად ჩემად ბრძანა მან, უარ ყოს თავი თვისი, თავის ბრმა გაბრწილი გონება, თავის უფნური მომაკვიცნებელი ხორციელებრივი გემოვნებანი, აილოს ჯგერი თვისი და შემომიღდეს მე.“ (ლუკ. 9, 23), მაგრამ მრავალნი ჩვენი მემამულენი მოიქცენენ და იქცევიან სულ ამის წინააღმდეგ—უარყვეს არა თავი თვისი, არა ხორციელებრივი გემოვნება და ქვეყანა მემრუშე, არამედ უარ ყვეს თვით ქრისტე და მისი სხარება, ღვთის ეკლესია, —თვისი გონება და თვისი სახელი გააღმერთეს და დაკმაყოფილება და გემოვნება ამა ქვეყნისა დოღმატად გაიხადეს და ამისათვის შესაძლებლად შერატხეს ყოველივე ხორციელი გემოვნების შესურლება—გაფლანგვა სახელმწიფო და საზოგადოების ფულთა ან მემკვიდრეობით დარჩენილ ქონებათა, დაქერა მუშებზე მისაცემ ფულთა, წადება საქონლისა და არა მიცემა ფულისა ან ცარცვა-გლეჯა ეკლესიისა ან კერძო კაცთა ქონებისა; კაცის კვლა ცარცვა-გლეჯის დროს; გაფლანგვა ქეიფობით და დროს გატარებით თავისი და სხვათა ქონებისა, ზარმაკობა გონებით, ფიზიკურად, არა მორჩილება ნმობელთა, მოძღვართა და მასწავლებლებთა; ბევრმა შეაქცია ზურგი თვისი ღმერთსა და არა პირი თვისი და გული, არა შიში და კრძალულება ქვეყნის შემეწველისა, არა სარწმუნოება, არამედ საზოგადოარი ურწმუნოება; არა მორჩილება და ცნობა თვის უძღურებისა და ღვთის ჩვენდამო მოწყალებისა, არამედ ამპარტუნება და ჭეშმარიტების უარყოფა. აი ხასიათი დღევანდელი ჩვენი განათლებული და გაუნათლებელი საზოგადოებისა.

აი ამისთანა ცხოვრებისა და ყოფაქცევისთვის

მართლმსაჯული უფალი და გამკითხავი მოგვივლენს ომს, რომელიც ამაყად გამოგვიცხადეს ჩვენ და მით დაგვიკარგეს და დაგვიღუპეს მრავალი შორშემუნე შვილები და მრავალ-მილიონებთა სავასო სამხედრო გემები. ჯერ მხოლოდ იწყება ომი, და შემდეგ შირა იქნება—ერთმა მხოლოდ ღმერთმან უწყის; რამდენი მსხვერპლი მილიონობდა, რამდენი ზარალი იქნება. საჭიროა რუსეთისათვის დაუყოვნებლივი შენანება ყოველ წოდების ხალხთაგან, გასწორება ზნეობისა; უარყაფა უგნური უღთოებისა; შორჩილება და კრძალულება ღვთის მცნებათა ზმტკიცედ აღსრულება მათი; მიქცევა დამბადებელის და აღზრდელის წმიდა ეკლესიისადმი; შეიღთაგან დამორჩილება მშობელთა, მასწავლებელთა და აღმზრდელთა. სიმართლე, პატიოსნება, ზომიერობა, უმანკობა, სიმტკიცე და დაცვა ცოლ-ქმრობის კავშირისა; მოწყალება და შებრალება მოყვასთა და ღარიბთა. თუ ასე მოვიქცევით,—რომელიც მოგვანიჭოს ღმერთმან,—მაშინ უფალი ადვილად დაგვიმორჩილებს ქვეშე ფერხთა ჩვენთა წინანდებულად, აღიდებს ჩვენს იარაღს. ნუ გამოვიწვევთ თვითონ ჩვენ ღვთის მართლს სასაჯელს და რისხვას და ნუ გვექნება იმედო მარტო ჩვენი ჯარებისა და საომარი იარაღებისა.

ღვთით შევქნათ ძალა—და იგი, ერთად ერთი დაამდაბლებს მტერთა ჩვენთა.

დკ. იოანე სერგაევი.



«ზსა ბედნიერებისაკენ.»

იგან თავა თვისა.
(გაგრძელება*)

აგრეთვე შესანიშნავია ცხოვრება გეორგ სტეფენსონისა. იგი ღარიბი დედ-მამის შვილი იყო (1781 წ.), კარგა ხანი მწყემსობას მისდევდა და დიდი გაჭირვებაც გამოიარა. 18 წლისა იქნებოდა, რო ჯერ ან-ბანიც არ იცოდა. როდესაც შემთხვევით გაიგო, რომ წიგნებში არის აღწერილი უატტის

ორთქლის მანქანა, რომელიც მას ძლიერ ინტერესებდა, გადასწყვიტა კითხვა ესწავლა და მალე ისე დახელოვდა, რომ შეეძლო საინჟინერო დარგის სამეცნიერო თხზულების გაგება.

აგრეთვე ფ. ა. ვოლგმა, ამ გენიოსმა მკვლევარმა ძველი დროებისამ (1759—1824) გამოიჩინა შესანიშნავი მიღრეკილება და ნიჭი თვით-განვითარებისა. უნივერსიტეტში შესვლამდინე მან მოასწორა გადაკითხვა შესანიშნავი თხზულებებისა ფრანგების, ინგლისელების, ესპანელების, იტალიელების და ძველი მწერლებისა. მან სახელი გაითქვა არა მარტო კრიტიკული წერილებით და კარგი პედაგოგების შექმნითა, არამედ თავისი ორიგინალური, მახვილ-გონიერი ჰიპოტეზით, რომ ილიადა და ოდისსეი იმ ნახით, როგორც მას ჩვენ დღეს ვხედავთ, ქმნილება ერთი პოეტიკა კი არა, არამედ მრავალის ჰომერიისებრი რაფსოდებისაა. ვოლფი შემდეგ შიაც პირადულს თვით-განვითარებას, სწავლა-ცოდნის შექმნას უფრო დიდ მნიშვნელობას აძლევდა, ვიდრე სამწერლო მოღვაწეობას და ღიდებას, სახელ-განთქმულობას.

როგორ უნდა იცნას ადამიანმა თავი თვისი? შილდერი ჩვეულებრივი მახვილ-გონიერებით გვითითებს ორ გზას თვით-ცნობიერებისას: „თუ ვინდა იცნო თავი თვისი, დააკვირდი სხვების მოქმედებას, სხვების ყოფაქცევას; თუ გსურს გაიცნო სხვები, ჩაიხედე საკუთარს სულში“. დაკვირვება და თვალყურის გდება სხვების მოქმედებისა იმიტომ არის საშუალება თვით-ცნობიერებისა, რომ საზოგადოდ ადამიანები ცოტად თუ ბევრათ ერთი ერთმანეთს ემგავსებიან. ადამიანს, რომელსაც სიყმაწვილე უმეგობროთ, უმეგობოდ, უღმობოდ მარტოობაში გაუტარებია, აკლია ერთი უმდიერესობაგანი საშუალება აღზრდისა, ხასიათის ფემტკიცებისა და ცხოვრების შესახებ ნამდვილი, შეუცდომელი აზრის შედგენისა. თუმცა შესაძლოა საზოგადოებას ზ სხვათა მაგალითის ცუდი გავლენა ჰქონდეს ადამიანზე, მაგრამ ამასთან მას კი შედეგებოც აქვს. საზოგადოებაში ტრიალი, გარდა იმისა, რომ განვითარებს სიმპატიურ გარძობებს, ადამიანს უხელს თვალთს თავის ავ-კარგისა და ღირსება-ნაკლულევაებათა დასანახად. როდესაც ჩვენი შეცდომები და წინ დაუხეხილობა გამოიწვევს დაიცნვას ჩვენის ტოლ-აზნაზების მხრივ, მაშინ ჩვენ ცოტად თუ ბევრად ვიგებთ ყოველ ნაბიჯის აწონ-

*) ის „მწყემსი“ № 9



დაწონას; ამ სახით ჩვენი ხასიათი განმტკიცდება. ამაზედღევა დაფუძნებული სარგებლობა სასწავლებლებთან „ზოგად-საცხოვრებელთა“ (Общешитие), რომელთა დიდ მნიშვნელობასაც არ უარ-ჰყოფს მზავალი გამოჩენილი პედაგოგი და შესანიშნავი პირები. ინჯლისში თითქმის ყოველი ყმაწვილი-კაცი ასეთ პანსიონებში სწავლობს; გერმანიაშიაც არსებობს რამდენიმე ასეთი შესანიშნავი სასწავლებელი. ლეს-სინგი აღიზარდა მესისენის საკოროლო სკოლაში, კილანდი ბერძნების მონასტერში, კლოპშტაკი შულზფორტში, შილლერი კარლსშულესში, შლეგიერ-მახერი ნისკაში, გეგელი, შელლინგი, დავით შტრაუსი და სხვები ტიუბინგენის მონასტერში.

თუ ჩვენ თვალ-ყურს ვადევნებთ, ვაკვირდებით სხვების მოქმედებათა და საზოგადოდ ყოფა ქცევას, მაშინ ჩვენ შევისწავლით მხოლოდ ადამიანის საზოგადო, ტიპიურს თვისებებს. ჩვენი საკუთარი არსება კი ფარდით დაფარული რჩება. ამ მხრივ ჩვენ ხელს ვეციწყობს ჩვენის მოქმედებების და მათი იძულებების (მოტივების) კრიტიკულად გასინჯა, მათის ავ-კარგის გაზრეკა და დაფასება. ამის მოხერხება შეიძლება ან სვირნობის დროს, ან საღამომობით, დაძინების წინ. ადამიანების შემდგევე დღე ადამიანმა არჩქეის, დავიწყებას კი არ უნდა მისცეს, პირიქით ნათლად უნდა წარმოიდგენდეს ყოველ თავისს მოქმედებას და აზრსა და მიუღდგომლად უნდა განსაჯოს: წინ წავიდა თუ უკან დიწიო ამ უკანასკნელ დღის განმავლობაში. ადამიანი თავს ანგარიშს უნდა აძლევდეს, რაში გამოიხატება მისი უმთავრესი ნაკლულე-ვანება და შეცდომები; საქირაო აგრეთვე დროით დრო თვალს გადაავლენდეს თავისს ცხოვრებას და დაეკითხოს თავისს თავს: შეიძლო თუ არა თვისის ცუდი მიდრეკილებების რამდენადმე ძლევა და აღაგმვა. შური, მრისხანება, ბრაზიანობა, უნდობელობა, ყმედობა, გულ-ღვარძლიანობა, გულ-ჩახვეულობა, ძუნწობა და მეტის-მეტი დაუზოგველობა; ე. ი., ქონების ცუდ-უბრალოდ ფლანგვა—აი ჩვენი ცოდვები.

მეორე საშუალება თვით-ცნობიერებისა არის დლიურის წერა, რასაც (დლიურის წერას) ვერჩევთ განსაკუთრებით ყმაწვილ-კაცობას. დლიური—თითქმის აღსარებაა სინდისის წინაშე. საქირაო-კი შევნიშნოთ, რომ ადამიანმა უნდა აღწეროს მხოლოდ ის, რაც უგრძენია და როგორც უგრძენია გადაუმიხინჯებლად და მიუფერებლივ, არ უნდა გააქი-

ნუროს აღწერა თავის გრძნობებისა და ფიქრებისა. გოტე თითქმის მთელს სიცოცხლეში განუწყვეტლივ სწერდა დლიურსა; კაროლი ვილჰელმ I ყოველის წლის ბოლო ანგარიშს აძლევდა თავსა, რა მიგრძენია მთელის წლის განმავლობაშიო. თუ დრო არა გვაქვს დწვირილებით ვწეროთ ყოველთვის შესახებ, მაშინ საქირაო აღენიშნოთ ის ყინიც, რაც უფრო შესანიშნავი და საყურადღებო რამ გამოგვივლია, წაგვიკითხავს ან გაგვიგონაია. საუკეთესო ნიმუში დლიურისა დაგვიტოვა რიუკერტმა, რომელსაც გაბღღვით შეეძლო ეთქვა: „რაც მე დლიურში არ შემიტანია, ის არც მიგრძენიაო“.

რამდენადღე ხელს უწყობს ადამიანის თვით-ცნობიერებას გათვალისწინება, რა მოსწონს მას. უადილო არ იქნება მოვიყვანათ შემდეგი სიტყვები: „მითხარი ვისთანა გავქვს მეგობრობა, და მე გეტყვი, ვინა ხარ შენ“. კერძოთ რომ ვსთქვათ: ვინც სიამოვნებას არა გრძნობს ადამიანთა საზოგადოებაში, ის თვითონაც სერიოზული და გამჭირახე ქუუაგონების პატრონი არ არის; ვისაც უყვარს ტრიალი ისეთ ადამიანთა წრეში, რომლებიც გონების განვითარებით მახე დაბლა დგანან, ის თვითონაც ვერ დაწინაურდება; პირიქით ბევრი ცვილობს ერთადა იქონიის ისეთ ადამიანებთან, რომელნიც მახედ მალაა დგანან ქუუაგონებითაც და განათლებათაც.

„მითხარი რას მოჰყვებარ აღტაცებაში,—ამბობს ბიოვი (Bévil): და მე გეტყვი რა გემოვნების, და ნიქის პატრონი ხარ“. საზოგადოდ ახალგაზრდობა უფრო ხშირად ჰქმნის კერპებს და, აღტაცებაში მოსული, იხრის თავს მათ წინაშე; მაგრამ არც ხანში შესულები უნდა ხელ-მძღვანელობდნენ ანდაზით: nil admirari (ნურაფერს ნუ გაიკვირებო).

კეთილ-შობილური ბუნების ადამიანებს ყოველთვის აღტაცებაში მოიყვანს დიდი და კეთილი საქმე. ვერც ერთი ღირსება ვერ შეგვქმნს იმდენ მეგობარს, რაოდენსაც გულ-წრფელი, შესაფერისი დაფასება სხვების ღვაწლისა, ნამსახურობისა. დაბალი ქუუაგონების და არა კეთილშობილური, ბინძური ბუნების ადამიანებს არ შეუძლიანთ რითმე აღტაცება; მათ თვითონ არ შეუძლიანთ შესანიშნავი რამ შეჰქმნან ჭამიტომ შურისა და სირცხვილისაგან სცილოლბენ სხვების დამცირებას, დამდაბლებას. „სილვა დიადი ადამიანისა — სიამოვნებაო,“ ამბობს გოტე.

ნშირად ხდება, რომ შორი ადგილებიდან გაემგზავრებიან რომელიმე გამოჩენილი პირის სანახავად. გიოტე და შილლერი ყოველთვის თაყვანის მცემლებით გარშემოხვეულნი იყვნენ; ვილჰელმ I-ს თავმდაბლური სასახლის წინ ათასობით ხალხი ტრიალებდა, რომ ერთხელ მინც მოეკრა თვალი მომღიბარი, საპატოო სახისათვის; ბისმარკის დაბადებიდან ოთხმოცი წლის შესრულების გამო გამართულმა იუბილემი საქსენვალდში თავი მოაუყარა რამდენიმე ათასს ადამიანს სხვა-და-სხვა წლოვანებისას და სოციალური მდგომარეობისას, რომელნიც შეიკრიბნენ საქვეყნოდ მადლობის გამოსაცხადებლად გერმანიის სახელმწიფოს დამაარსებლისათვის.

სულით და გულით უღირსებს შეუძლიანთ მხოლოდ სხვების ნაკლთა გამოჩხრეკა და კიბვია; ისინი სიხარულით ცას ეწევიან, როდესაც გმირს მეცნიერებისას, ხელოვნებისას, და პოლიტიკისას უპოვიან სუსტ მხარეს. დიდი გიოტე კი შეჰნიშნავს; „სხვათა დიდ ღირსებებს შეგვიძლიან დაუბრუნებოთ მხოლოდ ჩვენი სიყვარული“. ერთხელ როდესაც ბოლინბროკს ყურები გამოუჭედეს მალბორის ნაკლებობაზე ლაპარაკით, მან სთქვა: „ის (მალბორი) ისეთი შესანიშნავი რამ იყო, რომ მე დამავიწყდა, ჰქონდა თუ არა მას რაიმე ნაკლი, სუსტი მხარე“. ნაკლი დიდებულბოვანი ადამიანებისა, ე. ი., გმირებისა, შეადგენს მეორე მხარეს მათის ღირსებისას. შეუძლებელია, ადამიანი ენერგიული იყოს, თუ ამასთან იგი ზოგჯერ დაუზოგაობას არ გამოიჩენს, — კეთილი იყოს და ზოგჯერ სისუსტე არ გამოიჩინოს, შეუძლებელია სამართლიანი იყოს და ზოგჯერ კი ძლიერ მომთმენი არა. ნაკლი და ღირსება, თუ შეიძლება ესე ითქვას, ერთს ტოგზე ასხიან.

(შემდეგი იქნება)

ნ. ს. — ე.

შუკნალ-გაზეთებიდან.

ამის ამბობა. პორტ-არტურის ესკადრის უფროსად ნამყოფს ვიცე-ადმირალ სტარკს უთქვაჰმ: პორტ-არტური ხმელეთიდან, თუ ზღვიდან, მშვენიერადაა გამაგრებულიო. ციანტუნის ნახევარი კუნძულის ყელი (ცინჯოუს ქვემოლ, სადაც 13 მისის დიდი ბრძოლა მოხდა) ზარბაზნებითაა საცსეო. ზღვის ნაპირის ორ რიგათ აწყვიტა ბატარეები. ამას წინად გენერალმა ფოკმა პორტ-არტურთან ახალი სიმაგრეებიც ააშენა, ასე რომ პორტ-არტური ესლა ნამდვილად მიუვალი ციხეა.

„ფრანკურტ. ცაიტუნ“-გს სწერენ: გენერალი სტესელი ირწმუნება, პორტ-არტურის აღება შეუძლებელიაო. პორტ-არტურის გარშემო ამას წინად ახალი ფორტები (სიმაგრეები) ააგეს, ბევრად მიწაში ნაღმები ჩააწყეს. პორტ-არტურში ამჟამად სახადით ავადმყოფობა განშორდა. ექიმებს მეტად ბევრი საქმე გაუწნდათ ჯარის ექიმებს ფლოტის ექიმებიც ეხმარებიან; ახალ საავადმყოფოებს აშენებენ დაჭრილთათვის. საცვები სურსათი საკმაოდ აქვთ რუსებს. პირველ ორ თვეს სრულ პორციას მისცემენ სალდათებს. (← რ. ა.)

გერმანელი სამხედრო კაცები ამბობენ, ცინჯოუს ბრძოლა ეპოქას შეადგენს სამხედრო ხელოვნებისას ისტორიაშიო. იქ შეიყარნენ ორნი ერთი ერთმანერთის ღირსნი მოპირდაპირნი. მეციხოვნეთა გმირობა იერიშის მიმტანთა თავგანწირულობას უღრიდა. გერმანელების სტრატეგიას დღემდე შეუძლებლად მიიჩნდა ამ გვარ ციხის აღება იერიშით, რადგან მხედველობაში ჰქონდათ ეხლანდელის თოფიარალის ძლიერება და ციხის დაცვის ტესნიკა. მოვარ-შტაბის ერთი აფიცარი სწერს: ესლა ნათლად დამტკიცდა, რომ პირდაპირ იერიშით მომავალმა მტერმა იერიშით აიღოს ციხე-სიმაგრე, რასაც გერმანელთა ახალი სამხედრო თეორია უარჰყოფდა. გაზ. „ვოს. ცეიტუნგის“ თანამშრომელი ამბობს: ცინჯოუს ბრძოლა ამიერიდგან კლასიკურ მაგალითად იქნება მიღებული სამხედრო აკადემიებში. შეუძლებელი იყო, ამ იერიშისათვის იაბონელებს დიდი მსხვერპლი არ შეეწირათ. ვინც სამხედრო საგანში ჩახედული არ არის, იმას სასწარლად მიიჩნია ამდონი მსხვერპლი და მრავალნი ამბობენ: ნუ თუ კაცობრიობამ გულგრილად უნდა უყუროს ამისთანა

მოქმედებას. ყველანი ჰფიქრობენ, ამ კვირე დიდი ამბები უნდა მოხდესო: პორტ-არტური ამ დღეებში დაეცემაო.

ტოკიოდან იწვრებიან, ვითომც ცინ-ჯოუს ბრძოლაში გენერალი სტესელი სარდლობდაო; რუსებმა ვითომც 2,000 კაცი დაჰკარგეს (რ. ვ.)

„დელი ექსპრესის“ კორესპონდენტის ცნობებით, ვლადივოსტოკი გადიქცევა რუსეთის ფლოტის ნავთსადგურად. აღმირალ სკრიდლოვს დავალებული აქვს, უფრო კარგად მოაწყოს ვლადივოსტოკის ციხე-სიმაგრე. 10,000 ჯარის კაცთა და კრესიერების გარდა, რომლებიც აქამომდე ვლადივოსტოკში იყო გენერალ-სკრიდლოვს დაშლილა ნაღმიანი გემები გაეგზავნა რკინის გზით. ვლადივოსტოკის ესკადრას დავალებული ექნება იაპონიის კუნძულები შეაწუხოს, რომ იაპონელები იძულებული გახდნენ, რამდენიმე გემი გაიყვანონ ყვითელ ზღვიდან და თავისი კუნძულები დაიკვან. (ნოვონტი).

„ნ. ვ. პ-სში“ დაბეჭდილია აზრი ერთ სამხედრო სწავლისა, რომელიც ამბობს, იაპონელებისთვის სპეცირა პორტ-არტურის სანქაროდ აიღონ, რომ სპორთულ-აღმოსავლეთისაკენ წასასვლელად გამზადებული ბალტიის ზღვის ესკადრამ შესაფერი ნავთსადგური ვეღარ იპოვნოს. მასხადამე, იაპონელები ესლავ ეცდებიან პორტ-არტურის აღებასო. ხოლო რამდენს ხანს მოანდომებენ ამ ციხე-სიმაგრის აღებას ამის თქმა ძნელია. ეს არამც თუ იერიშის მიმტანის ძალ-ღონეზეა დამყარებული, არამედ თვით ციხის მოწყობილობასა და მეციხოვნეთა მოქმედებზედაც. იაპონელებმა ჯერ ქვანდუნის ყელი უნდა აიღონ, რომ იქიდანაა გზა გაიკვლიონ პორტ-არტურისკენ. იქ ორთავ მხარეს ზღვით უნდა გადავიდეს ჯარი და იერიში მიიტანოს ცინ-ჩოუსზე. ხოლო ზღვის ყურეები მიწებით არის მოდებული და გემები ვერ მიეკარება, ხმელთი კი საკმაოდ არის ყველა მხრიდან გამაგრებულია. ჯარის გადაყვანასა და ცინ-ჯოუს აღებას კარგა დრო უნდა.

თუ რომ იაპონელებმა მოახერხეს და ფლოტის დახმარებით ქვანდუნის ყელი აიღეს და დალნიც დაიპირეს, მაშინ კი გარემოება სულ სხვა ხასიათს მიიღებს. მაშინ თვით იაპონელები გამაგრდებიან ქვანდუნის ყელზე და რუსებმა დიდი ჯარიც რომ გაგზავნონ ჩრთილოეთიდან, ფლოტის დაუხმარებლად ვეღარას გახდებიან.

იაპონიის მთავრობამ ინგლისში ვილსონის საზოგადოებისაგან გემი „ონგო“ იყიდა 120 ათას მანეთად.

„დელი მელი“-ი იუწყება: პორტ-არტური ყველას მიუვალ ციხედ მიანჩათ. მეციხოვნე ჯარი ყოჩაღად და ჯანმრთელადაა.

ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ: პორტ-არტურთან რუსებმა ხუთი პირი ახალი სიმაგრე ააშენესო.

„მორინგ პოსტ“-ის კორესპონდენტი იუწყება ნიუჟინიდან: იაპონელების აზრით, რუსებს პორტ-არტურში 20 ათასი ჯარის-კაცი ჰყავთ. პორტ-არტურიდან ჩინელები მოდიან და ამბობენ, პორტ-არტურში რუსებს ესლავე აკლიათ საკვები სურსათით. იაპონელებს იმედი აქვთ, სამ თვეზე შიმშილით დავინებებთ პორტ-არტურის ჯარსაო. (რ.)

ბრძოლა განმარტონ. „რუსეთის ველომოსტი“-ს დღეებში ატყობინებენ ბერლინიდან: ყველანი ერთხმად ამბობენ, რუსის უმთავრესი პოზიციები ცინ-ჩოუს ყელზე მშვენივრად, თანამედროვე სამხედრო ტენიციის თანახმად, იყო გამაგრებულიო. ამ პოზიციებს არაფერი ნაკლი და წუნი არა ჰქონდა. ტყვეის მტყორცხენლ მანქანებისა („პულმეტ“) და 68 სავლე ზარბაზნს გარდა, რუსებს დიდი მძიმე ზარბაზნებიც ჰქონდათ. მსროლელთათვის სანგრები იყო აშენებული რამდენიმე რიგად. იაპონელებს 40 ათასი კაცი ჰყავდათ. იაპონიის ჯარს გენ. ოკუ უწყევდა ხელმძღვანელობას; პირველ დღიზიას გენ. პრინცი ფუშიმა უფროსობდა, მესამე დღიზიას გენ. ოშიმა, მეოთხეს – გენ. ოგავა. რუსის ჯარს გენ. ფოკი უფროსობდა. აქ ამბობენ, იაპონიის ფლოტისა და არტორების დახმარებას მაგდენი მნიშვნელობა არა ჰქონდა; სხვა არა იყოს-რა დიდ ზარბაზნების გადატანა ბრძოლის დროს შეუძლებელი იყო. ცინ-ჩოუსთან იაპონელებმა უმთავრესად შტიკისა და თავიანთ თავგანწირულების წყალობით გეინარჯვესო. ამას გარდა, იაპონელები მეტნიც იყვნენ რუსებზეო.

„დელი ექსპრესტ“ ატყობინებენ ტოკიოდან: ნანშანის (ცინჩოუს სამხრეთით) პოზიციებზე 13 მისს რუსებს 20 ათასამდე ჯარის-კაცი ჰყავდათ და ციხისა და საზღვაო ზარბაზნები ეწყობათ.

ერთ იაპონელ აფიცერს უთქვამს „ტაიმს“-ის კორესპონდენტისათვის: რუსებს ცინჩოუს ყელზე მეტად მაგარი პოზიციები ექირათ და თანამედროვე

სამხედრო ხელოცნების თანახმად ჰქონდათ გამოგრებულიო. ნანშანის ფორტებზე რუსებს მძიმე ზარბაზნებით ეწყობა, იაპონელებს-კი მხოლოდ საველე ზარბაზნები ჰქონდათ, რადგან მძიმე ზარბაზნების მოტანა შეუძლებელი იყო. ასეთ მაგარ პოზიციების აღება შეუძლებლად მიაჩნდა ბევრს, მაგრამ ჩვენმა ჯარმა ეს შეუძლებელი საქმე შესძლო და რუსები ცინჯოუს პოზიციებიდან განდევნა... (რ. ლ.)

ტყვე რუსება ანაზანაში. იაპონური გავითი „მანჩოხოზო“ იუწყება: სასებოს საავადმყოფოში 2 დაჭრილი რუსის მატროსი იმყოფება. ეს მატროსები ნაღმიან ვერ. „სტერეგუში“-დან არის; ერთსა ჰქვიან ფედორ კირიევი, — ფეხის ძვალი აქვს დამტვრეული; მეორეს ივან ფილინსკი, — ტანი აქვს დაშვებული. იაპონიის საზღვაო მინისტრმა იამაოტომ ამ ტყვეებს ამნაირი წერილი მისწერა: „თქვენ მამაცად იბრძოდით და მედგრად იცავდით თქვენ სამშობლოსა. თქვენი მძიმე მოვალეობა ისე შეასრულეთ, როგორც ნამდვილ მებრძოლს ეკადრება. გულწრფელად გაქვთ: ნამდვილი ვაჟკაცები ჰყოფილხართ. ნურაფრისა ნუ გედარდებთ. ჩვენი საზღვაო საავადმყოფო მშვენივრადა მოწყობილი, ექიმებიც სულ გამოცდილი ხალხი არიან. გულწრფელად მსურს, რომ მალე მთლად მორჩეთ და ომის ვათაგების შემდეგ მშვიდობიანად სამშობლოში დაბრუნდით“. სასებოში ორი კარგა მყოფი რუსის მატროსიცაა. აღუქსი ოსიხონი და ვასილი ნოვიევი. ესენიც „სტერეგუში“-ზე არიან დატყვევებულნი. (რ.)

„მატან“-ს შეუტყვიან: გენ.-ად. კუროპატკინი 80 ათასის კაცით პორტ-არტურის საშველად მიდისო. ლითანშიაც საკმაო ჯარსაც სტოვებს, რომ იაპონელებმა გზა არ მოუტანანო.

„დეილი ექსპრეს“-ს დეპეშით ატყობინებენ ჩიფუდან: კვანტუნის ნახევარ-კუნძულზე, პორტ-არტურს ახლო ი პონელებისა და რუსის მოწინავე რაზმებს შეტაკება მოსდითო. ამბობენ, 20 მათს იაპონიის ჯარი პორტ-არტურისაკენ წავიდაო. ხმა დადის, იაპონელები გოლუბინაია ბუტაშიაც (პორტ-არტურის ახლო, დასავლეთით) გადაიყვანენ ჯარსაო. იაპონელები ირწმუნებოდნენ, პორტ-არტურის მიდამოებში მიწაში ჩაწყობილი ნაღმები ვიპოვებთ და ავაფთჟებთო. ეს ნაღმები რამდენსამე მილის მანძილზე იყო ჩაწყობილი და რომ არ გვეპოვა. დიდ ზარალს მოგვტანდაო. ამბობენ, დაღწე

რამდენიმე ჩინელი მოვიდა და იაპონელებს პორტ-არტურის სიმაგრეზე დიდად მნიშვნელოვანი ცნობები მოუტანაო. არტილერიის დოცენმა უზაგომ ცინჩოუსი საალყე ზარბაზნები მოიტანა ამას გარდა სამხედრო ინჟინერებისა და ჰაერონავთების (ჰაერში მფრინავების) რაზმებიც მოვიდა. (რ. ს.)

საუბრა რუსას გენერალთან. ფრანგული გაზ. „ეკო დე პარი“-ს კორესპონდენტი სწერს: ერთს რუსის გენერალს პორტ-არტურის თიბაზე ველაპარაკე. გენერალმა შემდეგი მითხრა: რუსებს პორტ-არტურში 3 დღეიზია ჯარი ჰყავთ, ე. ი. 36 ბატალიონი, — თითო ბატალიონში 1000 კაცია. ამ ჯარს გენერალი ფოკი და სმირნოვი უფროსობდენ. ამას გარდა 6 ბატალიონი ციხის არტილერია ჰყავთ, 1,500 ყაზახი და 8 ათასი მატროსი. ცინჩოუსა და და სხვა სიმაგრეების გარდა. პორტ-არტურს 18 კილომეტრის მანძილზე 18 სიმაგრე აკრავს რგალით. თითო კილომეტრის მანძილზე ფორტია აშენებული. ყოველ სიმაგრეს წინ ეკლიანი მავთულია გაბმული და ნაღმები ჩაწყობილი. თუ იაპონელები პორტ-არტურთან 100 ან 150 კაცს არ მიიყვანდნ და 30 ან 40 ათას კაცზე ხელს არ აიღებდენ, პორტ-არტურს სხვანაირად ვერ დაიჭერენ. სხვა ხერხით, თუ არ შტურმით, ვერას გახდებიან. ალყის შემორტყმისა პორტ-არტურს არ ეშინიან: 10 თვეს მაინც გაუმაგრდება მტერსა. მაგრამ პორტ-არტურის აღება დიდს ზნეობრივსა და სამხედრო სარგებლობას მოუტანს იაპონელებს; ამიტომ იქნება იაპონიის ჯარი დიდ მსხვერპლსაც არ მოერიდოს და ეს ციხე შტურმით აიღოს.

— გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის ჯარი რაღას აპირობს, როგორ მოიქცევა ამას იქით?

— წინ წასვლას აპირობს, თუ არა — ეს არ ვიცი, ის კი ვიცი, რომ ცინჩოუს აღების შემდეგ პეტერბურგიდან დეპეშით შეეკითხნენ მთავარ-სარდალს: ცინჩოუს აღება სამხედრო პლანს ხომ არ შევაცვლევინებთო. გენ. კუროპატკინმა უპასუხათ: „მაგ სიმაგრის აღება არაფერს დაუშლის ჩემს პლანს; წინათვე ვიცოდი, რომ იაპონელები ცინჩოუს პოზიციებს აიღებდნენო“. არა მგონია, გენ. კუროპატკინი ეხლავე თითონ დაეცეს იაპონელებს. ამ ქამად ლიანოში 100 ათასი ჯარის კაცი ჰყავს, მუქდენში 25 ათასი. როცა იაპონელები პორტ-არტურთან ბრძოლით მოიქანცებიან, მაშინ კი, ალბად, ზურ-

ვიდან დაეცემათ; ამვე დროს გენ. კონდრატევიჩი გენ. კუროკის ჯარს შეაჩერებს და ლიოაიანისაკენ არ გაუშვებს. მალე ლიოაიანის ნახევარ კუნძულზე მრავალი დიდი ბრძოლა მოხდება“. (რ. ლ.).

დალნის დაჭრა. „ტიამს“-ს ატყობინებენ ჩიფულან: რა წაშს ამბავი მოვიდა, ცინჯოუ აიღესო, დალნის პატარა მეციხოვნე რაზმი პორტ-არტური-საკენ წავიდა და გენ. სტესელის სიმაგრეების გასწვრივ პოზიციაზე დადგა. დალნიდან გასვლის დროს რუსებმა რკინის გზა დაანგრიეს. რაიკ რუსის ჯარი ვაიდა, ევროპელები ყველანი ჩინელების ნავებით ჩიფულში გაიქცნენ. ადგილობრივმა ჩინელმა მოხელეებმა ყური არ უგდეს და ვიღაცამ ციხის კარი გააღო: ციხიდან 200 ტუსალი გამოვიდა და აქეთ-იქით მიიშალა. ქალაქში დიდი უწყესოება ჰხდებოდა, მაგრამ მეორე დღეს იაპონელები მოვიდნენ და წესიერება აღადგინეს. ამას იქით დალნი იაპონის ჯარის უმთავრესი ბაზა იქნება. იაპონელები ამ ჟამად დალნის ბუხტიდან რუსის ნაღმებს იღებენ. რკინის გზა კი კოტათია დანგრეული, ასე რომ იაპონელები მალე შეაკეთებენ. დალნი იაპონელებმა 200 ვაგონი ჩაიგდეს ხელში, პულანდიაში (ცინჯოუს ჩრდილოეთით) 4 ლოკომოტივი, ასე რომ მალე რკინის გზაზე მოძრაობას დაიწყებენ. ამას გარდა იაპონელებს რელსები, ვაგონები, იაპონიდა-ნაც მოუვიდათ.

გერმანულ გაზეთებს ატყობინებენ, რუსებმა წასვლის დროს ცეცხლი წაუციდეს ქალ. დალნსაო. იაპონელები რომ დალნი შევიდნენ, ცეცხლის ალი ცაში ადიოდაო. მთელ ქალაქში ორასიოდე სახლი-ლა დარჩაო. (რ. ვ.)

ლონდონი. („რეიტ. საგ.“) მანჯურიისში მოქმედ იაპონელთა არმიის მთავარ შტაბთან მყოფი კორესპონდენტი დეპეშით იტყობინება, რომ ამ დღეებში დაწყებულ გლაშქრებას იაპონელები მარჯვედ განაგრძობენო. უკანასკნელ 2 დღის განმავლობაში იაპონელთა ოთხმა რაზმმა დაზვერა ადგილები ლიოაიანსა, ხაიენსა, სიმიძისა და სიუიანისაკენ, შემდეგ დაიჭირა რამდენიმე ქალაქი, ხოლო რუსებს უკან დაახევია. რამდენიმე ცხარე ბრძოლა მოხდა იაპონელებს სულ დავკარგათ მწ კაცი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ორშაბათს, 17 მაისს, დაკრძალეს ახლად გარდაცვალებული **იოსებ ზოსიმეს ძე ბაქრაძე**. მიცვალებული თავის სახლიდან დილის 9 1/2 საათზე გაასვენეს წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, სადაც გადახდილ იქნა წირვა და პანაშვიდი. პანაშვიდს შემდეგ გრძობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა ნ. ლომაურმა. შემდეგ გვამი გაასვენეს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე და იქ დაკრძალეს. გასვენებას დაესწრნენ: წერა-კითხვისა, დრამატიულ საზოგადოების გამგეობანი, ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციის წევრნი, ტფ. სამეურნეო ბანკის გამგეობა და მოხელენი (განსვენებული) ბანკში მსახურებდა ბოლო წლებში) და დიდალი საზოგადოება. განსვენებულის კუბოს რამდენიმე გვირგვინი ამშვენებდა.

* * * **თფილისის გუმბერნატორმა** აცნობა საგუბერნო საგლეხო საქმეთა საკრებულოს, რომ კარხაზის, ვიზიანის და ბარალეთის სოფლის საზოგადოებებს, ახალქალაქის მარაში, **დაინიშნათ მთავრობის მხრივ მამასახლისებში** თითო 240 მანეთ ჯამაგირით. ეს ჯამაგირი ამ მამასახლისებს ამ სოფლის საზოგადოებებმა უნდა აძლიონ.

* * * მომავალ სამოსწავლო წლიდან ბათუმის მ კლასიან საქალაქო სასწავლებელთან არსდება **საფოსტო საბანკო-კლასები** 2 წლის კურსით. ამ სასწავლებელში შეგების უფლება ექნებათ იმათ, რომელთაც ოთხ-კლასიანი საქალაქო სასწავლებელი ან რეალურ სასწავლებლისა და გიმნაზიის ოთხი კლასი ექმნებათ გათავებული ვინც კურსებს გათავებს, იმას მიენიჭება ფოსტა-ტელეგრაფის მე-ნ კლასის მოხელის უფლება და ჩაირიცხება სამსახურში უფეხაშენოდ ვაკანსიის გახსნისათვის.

* * * თფილისის საოვად-ახნაურო სკოლის საზოგადოების კრების მეორე სხდომაზე კვირას, 23 მაისს, მიიღეს კომიტეტისაგან წარმოდგენილი პროექტი სკოლის მოსამსახურეთა შტატისა. საზოგადოების არსებობის 25 წლის შესრულების აღსანიშნავად საზოგადოებამ გადასწყვიტა, კომიტეტის წინადადების თანახმად, იყოლიოს სამი სტიპენდიანტი ქართველ მაშადინთაგან ზაქათალის და ახალციხის მხრისა და ბათუმის ოლქიდან. გარდა ამისა თ. კ.





ი. და ელ. ნ. მუხრან ბატონის მეუღლის უხვ შემოწირულობის გამო კრებამ დაადგინა, იყოლიოს 2 სტიპენდიანტი იმათ სხეულობაზე. საპენსიო წესდებისა და საზოგადოების წესდების ორი მუხლის შეცვლის საქმე გადაიღო ორი კვირით.

* * „ბრავ. ვესტნიკ“-ის უკანასკნელ ნომერში (№ 114) დაბეჭდილია უმადლესი ბრძანება ამიერკავკასიაში სოფლად სამუშაოდო საქმის მოწყობის შესახებ. მკითხველებს ამას წინაღ უკვე გვაცანით შინაარსი ამ საქმისათვის პირველ სამ წელიწადს (1904—1906) გადაიღება 400 ათასი მანეთი, მეორე სამ წელიწადს—587,300 მანეთი წელიწადში.

* * როგორც «ნოვ. ობ.»-ს ატყობინებენ, 20 მისის ქუთაისის ციხეში სისრულეში მოწყვანიით სამხედრო სასამართლოს განაჩენი, რომლის ძალითაც სერაფიონ კვარაცხელიას, ნესტორ კვარაცხელიას და ანტონ ლოტარის თავად დადიანისა და იმის ორ მოსამსახურის მოკვლისთვის სიკვდილით დასჯა გადაწყვიტათ. სიკვდილით 20 მის დასაჯებს მხოლოდ სერაფიონ კვარაცხელია. ნ. კვარაცხელიასა და ა. ლოტარის სიკვდილით დასჯა კატორგაში გაგზავნილი შეეცვალათ.

* * ამიერკავკასიის საერობო თანხიდან სამრევლო-საეკლესიო სკოლისათვის მდგომარე წელს გადაიღო 17,800 მანეთი.

* * უწ. სინოდის განკარგულებით, ქუთაისის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი სილვესტრი გადაყვანილ იქნა ამავე თანამდებობაზე სმოლენსკის სემინარიაში. რექტორი ამ სემინარიისა ცნობილი არხიმანდრიტი ალიპი ვადაყენებულ იქნა.

* * ჩიტის მაზრის (ციმბირი) სოფ. ბარშვეკის მცხოვრებლები ძლიერ აღელვებულნი ამას წინაღ ცნობ ახიარებულ ამბის გამო. ამ სოფლის ერთ გლეხს ხორბალი წაუღია ცხენით წისკოლში დასაბეჭველად და, სოფელს რომ ცოტათი დაშფორბია, მიწდორში სამი ქვეითად მიმავალი კაცი დაუნახავს, რომელნიც „იპაონელები“ ჰგონებია. შემინებულ გლეხს ცხენი მოუბრუნებია და ქენებით ისევ სოფელში მისულა და გამოუცხადებია, იპაონელებს წაეწყდი გაზაშიო. ორმოცამდე გლეხი შეგროვილან, შეიარაღებულან თოფებითა, დამბაჩებითა, ცულებითა და კეტებით, სოფლიდან გამოსულან, გამოსდევნიან „იპაონელებს“ და დაუქერით ეს სამი „იპაონელი“, რომლებიც სატუსალოდან გამოაქცეული ჩერქეზები გამომდგარან.

უბრალო საშუალება ბუჩუბას გასწვევტათ სსლში. იციდეთ აფთიაქში ან საფთიაქო მაღაზიაში დადენს ზეთი (Лавровое масло), დაასით მობრტყო ლიბმაქზე და დაადგით აქა-იქ ოთახებში. შემდეგ დაღეთ კარ-ფანჯრები და ნახათ, რომ 2—3 წამის განმავლობაში ბუჩუბი მთლად კარში გაფრინდებიან და აღარც შემოვლენ, სანამ ზეთი იქ იდგებება.

ათასი წლის შესხუება თვეზა. ამერიკის ზოგიერთ ადგილებში, მაღალიწის 40—50 საენის სიღრმეზედ აღმოაჩინეს დარილის მადნები, რომელთაც ასობით პოულობენ თევზებსაც. ფრიად კარგათ შენახულსა და გემრიელსა. ამას მეცნიერება ხსნიან ასე: სადაც ეს მარილის მადნებია, იქ ძველად არსებობდა მოლაშტები, რომელსაც ერთოდნენ მდინარეები. ამ მდინარეებით თევზი შედიოდა ტბაში და რადგანაც ტბის წყალი ძლიერ მლაშე იყო, თევზი იზინდებოდა; უკან ვეღარ ახერხებდა დაბრუნებას ტრჩობელ ტბაში; სადაც მასზე დროს განმავლობაში იღვეებოდა ტბის მარილი და თევზი ამის გამო მთელი საუკუნოებით მშვენიერად შენახულა ჩვენ დრომდე.

დღეამწის გარშემო. ციმბირის რკინის გზის გაყვანის შემდეგ ძლიერ გადაიღობა მოგზაურობა დემაიწის გარშემო. აი ამის ანგარიში: ბრემენიდან პეტერბურგამდის—1¹/₂ დღე; პ-დამ რკინის გზით ვლადივოსტოკამდის—10 დღე; ვ-დამ სან-ფრანცისკომდის ზვით 10 დღე; ს.-ფ-დამ ნიუიორკამდის რკინის გზით—4¹/₂ დღე და აქედამ ბრემენამდის—7 დღე, სულ 33 დღე.

წარილი რამაქმინის მიმართ

მოწყალეო სელაშეიფუგ ბ-ნო რეაქტორან!

ნება მოგვით თქვენის გაზეთის საშუალებით მეგობართან ქათეველთ, რომელთან ს. ზეტერბურგის უხიველეს ტრტში უსწავლათ და თან გავკვლიათ ამსახუების ვფა, უმონჩაფსის თსფებით, დაარწუნს მათზე დაწინაული ფუფი, ნაწილ ნაწილ მაინც, თუ გინდ თითო-ორგოდ მსახობათაზე თიველ თეურანდ. თითოეული ამთავანი ასფად ასე თუ ექი უხრუხეალოფთადა ცნაფერება, უფრო ვადრე სხვა ქალაქებში, გაჭირებულები არანს უსახსრბაის გამო და მხოლოდ ეს აუტხებელ მდგომარებათ გვაძიებულებს წყაწყხათ ჩვენი თსფებით უმფრთხი ამსახუება. იმათ, ვისი ადრესებზე ვეცით, პირდაღდ მეგობართათ წერაღებით, ისინი ეი, ვისაც ადრესების უცდინანობის გამო წერაღეს ვერ გაუგზავნათ, ვამეღვლებით, უმურადდეობად არ დასტრეებენ ჩვენს თსფებას. უმორჩილესად ვსთხოვ სხვა გაზეთებს გადასტყდენ ეს წერაღა.

ამსახუების მონდაბილობით სტუდენტო
 დ. მიქელაძე.
 P. S. ფუფი უნდა გაეგზავნოს ან სამსონ ფარცხელავს (Тифлис), Канцелярия Общества распространения грамотности, ან ზეტერბურგს.



„ვაკანსი-ს“

საზაფხულო სამუდგო

(Colonie des vacances. Feriencoloniet.)

ექიმის ვახტანგ დ. ლაშაშვილისა

მოზარდ ქალ-კატობთბის

ასაკით 8—16 წლამდე.

ვატანსი-სი მდებარეობს ბორჯომის ახლო, ბაქურაიანის რკინის გზაზედ, სადგურ ნიკოლაევოსა და საკოპავს შუა, მაღლობ-ვაკეზე, ფუქნარში, 4400 ფუტის, ანუ 1300 მეტრის სიმაღლეზე, 230 ფუტით მაღალი აბსოლუტურად.

ამ ზაფხულისათვის იმართება ხსენებულ ადგილს მოზარდ ქალ-ვაკათის **საზაფხულო სამუდგო**, იმის მიზანით, როგორც ეს დიდის ხნიდან შემოღებულია ევროპაში.

ამგვარ დაწესებულებას **მიზნად აქვს**: ბავშვების დასვენება, ჯანმრთელობის მოღონიერება, სხეულის გამაგრება და ფიზიკური კეთილ-დღეობის მოხვეჭა მომავლისათვის, რომ მოზარდის სხეული ასკდეს მრავალ მავნებელ ვითარებას და მდგრად დაუხვდეს მოსალოდნელ ავად-მყოფობას.

მთა-ადგილის ჰაერის სიმატე, სისუფთავე და სხვა ბუნებრივი თვისება კარგად მოქმედებს ყოველ ავებულებაზედ, და განსაკუთრებით მარტებელია მათთვის, **ვინც არის**:

სისხლ-ნაკლები, დასუსტებული, მოქანცული ან ცხოვრების შეუფერებელ პირობებით, ან ხშირის ავად-მყოფობით, ვინც ნაავად-მყოფარია, და საკმაოდ მოღონიერებული არ არის, მეტადრე ვისაც გამოვლილი აქვს ფილტვის რომელიმე ავადმყოფობა; აგრეთვე ვინც მაღა-დაკარგულია, ნერვებ-აშლილი, ქაობის ცივებით (მალარიით) შეპყრობილი, ვისიც ზრდა რაიმე მიზეზით დაჩაგრულია, ვისაც საკმარისი საზრდობა არა აქვს და ვისი სხეულიც დამაბუნებელია.

ხანგრძლივის გამოცდილებით გამოირკვა და დამტკიცდა, რომ ყოველ ზემოხსენებულ ნაკლს, რასაკვირველია რამდენადაც ეს შესაძლოა ბუნებისათვის, სხვაგვარ წამლობაზედ უფრო **რიზინად ჰჰურნავს მთის ჰაერი, დასვენება, უხვი საზარდო და ჯარჯიშობა.**

გარდა ამისა, ვინც ქალაქის უსუფთაო და შებუთულ ჰაერში სცხოვრებს, მათთვისაც **უსაზირომინა** წმინდა ჰაერზე დასვენება, ღონის მოხვეჭა და სხეულის გამაგრება, რომ ავადმყოფობამ მერმისში ადვილად არ იგდოს ხელი და არ დასჩაგროს.

საზაფხულო სამყოფში **მიიღებიან** ორივე სქესის მოზარდნი 8—16 წლამდე, ვის ჯანმრთელობასაც რომელიმე ზემოხსენებული ნაკლი აქვს, აგრეთვე ისინი, ვისაც დასვენება ჰსურს.

არ მიიღებიან: მწოლიარე ავად-მყოფნი, რომელიმე გადამდებ სენით შეპყრობილნი, არც ფილტვების სიკუტქით დაავადმყოფებულნი; არც ისინი, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ მთა-ადგილს ყოფნა სარგებლობას ვერ მოუტანს, მაგალ. გულით ავადმყოფნი, ქარებით (რევმატიზმით) დაავადმყოფებულნი.

მამობა და წამლობა იქნება უმთავრესად ბუნებრივი და ჰიგიენური: წმინდა მთის ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო, სხეულის ყოველგვარი ვარჯიშობა: სხვა-და-სხვა გვარი შექტევათამაშობა, სვირნობა, მოგზაურობა, გასართობი მუშაობა, წყლით ექიმობა და ბანაობა, საერთოდ საუკეთესო ჰიგიენურ პირობებში ცხოვრება, ყოველივე შეფარდებული კერძოდ თვითვედ ბავშვის ავებულებასთან, ექიმის ხელმძღვანელობით.

გადაჭარბებული საზრდოობა, თვითულის აგებულებასთან შერჩეული, დღეში ექვსჯამლ.

საზაფხულო სამყოფის ერთხელვე დადგენილი წეს-რიგი, რომელსაც მოზარდნი ადვილად ეწვევიან და საშემდგომად ითვისებენ, ყველასათვის სავალდებულოა. ვინც არ დაეთანხმება ამ წესებს, მან უნდა მიატოვოს ეს სამყოფელი არა უგვიანეს ერთის კვირისა.

მოზარდნი არიან **დამოწილნი ჯგუფებად**, სქესისა, ასაკისა და წლოვანების მიხედვით. თვითეულ ჯგუფს ჰყავს საკუთარი თვალ-ყურის-მგდებელი და ყველანი საერთოდ იმყოფებიან ექიმის მუდმივ ხელმძღვანელობაში.

საზაფხულო სამყოფის ხანად განსაზღვრულია **ორი თვე**: 15 ივნისიდან 15 მარიაშობისთემდე. მსურველთათვის ეს ხანა შეიძლება უფრო გაგრძელებულიც იქნეს.

საზაფხულო სამყოფეში მისაღებ პირთა **რიცხვი განსაზღვრულია**.

პირად აღწერილით ამ საქმის შესახებ ყოველგვარ ცნობების შესატყობად **მსურველთ** შეიძლება **მიმართონ** ექიმს ვახტანგ დაითის ძეს აღმაშობის 1 ივნისამდე ქ. თბილისში, ნიკოლოზის ქუჩა № 46., ხოლო შემდეგ-კი: ბორჯომით, პატარა-ცემს.

მოთხოვნილებისათვისვე ყველას **უზარადად მზავნება წინაპი** საზაფხულო სამყოფის შესახებ, რომელშიდაც მოათავსებული დაწვრილებით განმარტება და პირობები.

თუ პირად აღწერილი მოუხერხებელია, უნდა გვაცნობონ, ადგილობრივის ექიმის გასინჯვით, რა სნეულება აქვს იმ მოზარდს, რომლის დაბინავებაც ჰსურს საზაფხულო სამყოფეში.

მისაცვლელი გზა საზაფხულო სამყოფეში: ბორჯომიდან მე-25 ვერსზე, ბაკურიანის რკინის გზით სადგურ ნიკოლავესთან. განზრახულია საკუთარ ბაქანის გამართვა, რომელიც უნდა იქნეს თვით საზაფხულო სამყოფის წინ.

მატარებლის მიმოსვლა: ბორჯომიდან გუდის დილის 8 ს. 58 წ. და ნაშუადღევს 5 ს. 28 წ. „პატარა-ცემს“ მიდის: 1) დილის 11 ს. 13 წ. და 2) საღამოს 7 ს. 32 წ.

პატარა-ცემიდან: ნაშუადღ. 1 ს. 19 წ. და საღამოს 9 ს. 43 წ. გუდის.

ბორჯომში მოდის: 1) ნაშუადღ. 3 ს. 29 წ. და 2) 11 ს. და 33 წ.

ვისაც სურს, შეუძლია მოვიდეს პატარა-ცემს, ბორჯომში ღამის-გათუველად, დარჩეს იქ 2 საათსა და 10 წამს და იმავე დღეს დაბრუნდეს; ხოლო ვისაც მეტის ხნით მოესურვება პატარა-ცემს დარჩენა, შესაძლოა დილის მატერებელით ასევე ბორჯომიდან და საღამოს დაბრუნება. მაშინ პატარა-ცემს 9 საათითა და ნახევრით შეიძლება დარჩენა:

მიმოსვლა ღამის გაუთუველად:

თბილისიდან დილის 8 ს. 58 წ., ხაშურიდან 1 ს. 28 წ., ბორჯომს 2 ს. 20 წ. ბორჯომიდან 5 ს. 28 წ. ბათუმიდან დილის 6 ს. 4 წ., ფოთიდან 6 ს. 48 წ., ქუთაისიდან 9 ს. 43 წ. ყვირილიდან 11 ს. 31 წ. ხაშურიდან 3 ს. 3 წ. ბორჯომს 3 ს. 55 წ. ბორჯომიდან 5 ს. 28 წ.

ბორჯომიდან შესაძლოა პირდაპირი მოლაპარაკებაც «პატარა-ცემის» საზაფხულო სამყოფთან **ტელეფონით**.

შ ი ნ ა რ ს ი:—საღმრთაბატონო განმარტება: „სარწმუნოების დეკარგვა და სჯულის გატეხა საზღის ბრწინებისა, დაცემისა და აღმოფხვრის ნიშანი“.—ეკლესია, თარგმანი ს. გორგაძისა.—იმერეთის ეპარქიის სამღვდ. ლოკების დეპუტატთა კრება ქ. ქუთაისში 15—22 დეკემბერს 1904 წ. დამსწრესი.—ომი საშიშარი ჩვენი ტყუის მსწავლელებლია, დეკ. იოანე სერგივისი.—გზა ბედნი-ერებისაკენ⁴, 5. ხ.—კ.—ფრანგ-განუთოვან. —ახალი ამბები და შენიში, წერილი რედაქციის მიმართ.—განცხადება პატარა ცემის საზაფხულო სამყოფის.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. აღმაშობი Редакторь-Издатель П. Д. Гамбашидзе.
Дозволено цензурою Архимандритъ Георгій Мая 30 1904 г.

Типог. редакціи журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.